"ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ "

საერთო დანიშნულების
სახელმწიფო მომსახურების
სფეროს აუდიტის
დეპარტამენტის უფროსი

ფრიდონ შენგელია

„27“ 01 2015 წელი

ეგზ. N2

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს აპარატის

2013 წლის ფინანსური და 2011 – 2013 წლების შესაბამისობის

აუდიტის ანგარიში 01/14/00

შინაარსი

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების შესახებ 3

პირობითი აუდიტორული მოსაზრების საფუძვლები 4

პირობითი დასკვნა 5

დასკვნა კანონმდებლობასთან და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობის შესახებ.....6

პირობითი აუდიტორული მოსაზრების საფუძვლები კანონმდებლობასთან და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობის შესახებ.....7

პირობითი მოსაზრება კანონმდებლობასთან და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობის შესახებ.....18

შემოკლებები

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო - სამინისტრო;
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო - ფინანსთა სამინისტრო
საქართველოს მთავრობა - მთავრობა;
საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება სახაზინო სამსახური - სახაზინო სამსახური;
უკრაინის რესპუბლიკაში საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობა - საელჩო;
იუსტიციის სამინისტროს სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო“ - საჯარო რეესტრი.

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების შესახებ

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს აპარატის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ბალანსს 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მასთან დაკავშირებულ ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით ხარჯების, არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების, ფინანსური აქტივებითა და ვალდებულებებით საკასო ოპერაციების, წმინდა ღირებულების, ფულადი გრანტების, არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის, ეკონომიკური ნაკადების შედეგად ფინანსური აქტივებისა და ვალდებულების ცვლილებების, სხვა შემოსავლებიდან მიღებული სახსრების მოძრაობისა და ავტომანქანების ექსპლუატაციაზე გაწეული ხარჯების შესახებ ანგარიშგებებს მოცემული თარიღით დასრულებული სააღრიცხვო პერიოდისათვის.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით

საგარეო საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და მის წარდგენაზე „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულების, „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციისა და „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის N364 ბრძანების შესაბამისად.

აღნიშნული პასუხისმგებლობა მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

სახელმწიფო აუდიტის სამსახური პასუხისმგებელია აუდიტის საფუძველზე გამოთქვას მოსაზრება წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაზე. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (ISSAI 4200). ეს სტანდარტები მოითხოვს, რომ სამუშაო შეესაბამებოდეს ეთიკის ნორმებს და აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ აუდიტორებმა მიიღონ უტყუარი რწმუნება იმისა, რომ ბუღალტრული ანგარიშგება არ შეიცავს არსებით უზუსტობას.

აუდიტი მოიცავს გარკვეული პროცედურების ჩატარებას ბუღალტრულ ანგარიშგებაში წარმოდგენილ თანხებსა და განმარტებებზე აუდიტორული მტკიცებულების მოსაპოვებლად. შერჩეული პროცედურები დამოკიდებულია აუდიტორის პროფესიულ მსჯელობაზე, რომელიც მოიცავს ბუღალტრულ ანგარიშგებებში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად წარმოქმნილი არსებითი უზუსტობის რისკის შეფასებას. ამ რისკების შეფასებისას არსებული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურების შემუშავებისთვის, მაგრამ არა შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე დასკვნის გაკეთების მიზნით, აუდიტორი რისკის შეფასებისას ითვალისწინებს შიდა კონტროლის სისტემებს, რომლებიც საჭიროა ბუღალტრული ანგარიშგების მომზადებისა და სამართლიანი წარდგენისათვის.

მტკიცებულებები, რომლებიც აუდიტის ჯგუფმა მოიპოვა აუდიტის დასკვნისათვის საკმარის და მართებულ საფუძველს წარმოადგენს.

პირობითი აუდიტორული მოსაზრების გაცემის საფუძვლები

სხვა ანგარიშები ბანკში

საგარეო საქმეთა სამინისტროს აპარატის ბალანსზე ასახული აქტივების ნაშთი რეალურად არ ასახავს სამინისტროს აქტივების ფაქტობრივ მდგომარეობას, რადგან საბალანსო ანგარიშზე „სხვა ანგარიშები ბანკში“ (N 1240) ნაშთად 1997 წლიდან ირიცხება 263.9 ათასი ლარი. 2009 წლის ფინანსური აუდიტის პროცესში საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის 2010 წლის 25 მარტის N18-04-14/490/3977 წერილით წარმოდგენილი იქნა განმარტება, რომლის მიხედვითაც: „სსრკ საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ბანკის მიერ ბლოკირებული, ამავე ბანკის ყოფილი თბილისის განყოფილების ანგარიშზე რიცხული, საქართველოს იურიდიული პირების კუთვნილი სახსრების აუნაზღაურებლობით წარმოქმნილი დავალიანება აღიარებულია სახელმწიფო საშინაო ვალად“, ასევე აღნიშნულია, რომ „საქართველოს ფინანსთა სამინისტროში ს/ს გაერთიანებული ქართული ბანკის მიერ 2002 წლის 11 ოქტომბრის N3-14-04/210-2245 გამოგზავნილი წერილის თანახმად სსრკ საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ბანკის ქ.თბილისის განყოფილების ბალანსზე ირიცხებოდა საქართველოს საგარეო სამინისტროს კუთვნილი ბლოკირებული თანხა 205.9 ათასი აშშ დოლარის ოდენობით.

კრედიტორული დავალიანება

სამინისტროს აპარატის ბალანსზე ირიცხება კრედიტორული დავალიანება 97.7 ათასი ლარის ოდენობით, საიდანაც 69.3 ათასი ლარი წარმოადგენს წინა წლებში წარმოშობილ დავალიანებას. აქედან 43.2 ათასი ლარი დაკავშირებულია სახელმწიფო კანცელარიასთან არსებული დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის და „მშვიდობიანი კავკასიის“ საკითხთა სახელმწიფო ბიუროს ლიკვიდაციის შედეგად საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 17 აგვისტოს N337 ბრძანებულების თანახმად საგარეო საქმეთა სამინისტროსთვის გადაცემულ დავალიანებასთან. 26.1 ათასი ლარიდან 0.5 ათასი ლარი მივლინებიდან წარმოშობილი დავალიანებაა, ხოლო 25.5 ათასი ლარი კი სხვადასხვა კომპანიებზე რიცხული კრედიტორული დავალიანება. აღნიშნული დავალინებების წარმოშობის შესახებ დოკუმენტები აუდიტის პერიოდში წარმოდგენილი ვერ იქნა. სამინისტროს მიერ არ ჩატარებულა კრედიტორული დავალიანებების ინვენტარიზაცია, რითაც დარღვეულია ,,საბიუჯეტო ორგანიზაციებში, ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის N605 ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „კ“ ქვეპუნქტის მოთხოვნები.[1] აუდიტის მიმდინარეობისას აუდიტის ჯგუფის მოთხოვნის

[1] 1 საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის N605 ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „კ“ ქვეპუნქტი: „ინვენტარიზაციის ჩატარება რეკომენდებულია შემდეგ ვადებში: ფინანსური მოთხოვნებისა და ვალდებულებების - წელიწადში ორჯერ მაინც.“

საფუძველზე მოხდა დავალიანებების მქონე ორგანიზაციებზე შესაბამისი წერილების დაგზავნა.

მკაცრი აღრიცხვის ბლანკები

2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სამინისტროს აპარატში ინახება ხმარებიდან ამოღებული ძველი ნიმუშის და ასევე დაზიანებული მკაცრი აღრიცხვის ბლანკები. კერძოდ, 6,112 ცალი წუნდებული მოწმობები, საიდანაც 6,097 ცალი მოწმობის ღირებულება შეადგენს 0.05 ლარს, ხოლო 15 ცალი წარმოდგენილია ღირებულების გარეშე, 43,473 ცალი გაუქმებული ბლანკები, საიდანაც 16,427 ცალი ბლანკის ღირებულება შეადგენს 32.6 ათას ლარს, ხოლო 27,046 ცალი წარმოდგენილია ღირებულების გარეშე, 4,230 ცალი დაზიანებული მოწმობები ღირებულების გარეშე და 11,948 ცალი სამინისტროსთვის გამოუყენებელი მოწმობები, აქედან 11,298 ცალის ღირებულება შეადგენს 2.4 ათას ლარს, ხოლო და 650 ცალი წარმოდგენილია ღირებულების გარეშე. სამინისტროს მიერ აღნიშნული ფორმების ექსპერტიზა-უტილიზაციის თაობაზე შესაბამისი ღონისძიებები არ განხორციელებულა.

საჩუქრების სახით მიღებული მატერიალური ფასეულობა

წარმოდგენილი ცნობის მიხედვით სამინისტროში, 2014 წლის 1 იანვრის მდგომარეობით რაოდენობრივად ირიცხება 140 დასახელების სხვადასხვა წლებში საჩუქრების სახით მიღებული მატერიალური ფასეულობა. აღნიშნული მატერიალური ფასეულობა შეფასებული და ბუღალტრულად ბალანსზე აღრიცხული არ არის.

პირობითი დასკვნა

აუდიტის ჯგუფის მოსაზრებით, გარდა იმ შესაძლო ეფექტისა, რომელსაც მოახდენდა პირობითი დასკვნის გაცემის საფუძველში მოცემული საკითხები, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს სამინისტროს აპარატის ფინანსურ მდგომარეობას 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

დასკვნა კანონმდებლობასთან და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობის შესახებ

დასკვნა კანონმდებლობასთან შესაბამისობაზე

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა საგარეო საქმეთა სამინისტროს აპარატის მიერ, მისთვის გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში განხორციელებული საქმიანობისა და ფინანსური ოპერაციების მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობის აუდიტი.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

სამინისტროს ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია, უზრუნველყოს ორგანიზაციის საქმიანობის და ფინანსური ოპერაციების მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობა. ასევე ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია დანერგოს შიდა კონტროლის მექანიზმები, რომელიც უზრუნველყოფს ორგანიზაციის საქმიანობისა და ფინანსური ოპერაციების მოქმედ კანონმდებლობასა და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობას.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

სახელმწიფო აუდიტის სამსახური პასუხისმგებელია აუდიტის საფუძველზე გასცეს დასკვნა სამინისტროს აპარატის საქმიანობის კანონმდებლობასა და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობის შესახებ. შესაბამისობის აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით მოითხოვება აუდიტორების მიერ ეთიკის მოთხოვნების დაცვა, აუდიტის დაგეგმვა და წარმართვა იმგვარად, რომ მიღებულ იქნას გონივრული რწმუნება იმის შესახებ, რომ სამინისტროს აპარატის საქმიანობა და ფინანსური ოპერაციები ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით შეესაბამება თუ არა მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს.

აუდიტი ითვალისწინებს პროცედურების ჩატარებას საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად აუდიტორული დასკვნის გამყარების მიზნით. პროცედურები შეირჩევა აუდიტორის განსჯის საფუძველზე, რაც მოიცავს არსებითი რისკების შეფასებას, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია პირობითი აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

პირობითი აუდიტორული მოსაზრების საფუძვლები კანონმდებლობასთან და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობის შესახებ

საბიუჯეტო ასიგნებების დაგეგმვა და შესრულება

სამინისტროს 2011 წლის დაზუსტებულმა ბიუჯეტმა (დამტკიცებული ბიუჯეტი 73 236.0 ათასი ლარი) წლის განმავლობაში განხორციელებული ცვლილებების გათვალისწინებით 75 015.4 ათასი ლარი შეადგინა. საკასო ხარჯი ამ პერიოდში შეადგენდა 74 628.9 ათას ლარს.

2012 წელს სამინისტროს დაზუსტებულმა ბიუჯეტმა (დამტკიცებული ბიუჯეტი 82 800.0 ათას ლარი), 85 162.8 ათასი ლარი შეადგინა. საკასო ხარჯი კი ამ პერიოდში შეადგენს 83 302.4 ათას ლარს.

2013 წელს სამინისტროს დაზუსტებულმა ბიუჯეტმა (დამტკიცებული ბიუჯეტი 80 000.0 ათას ლარი), 80 108.5 ათასი ლარი შეადგინა. საკასო ხარჯი კი ამ პერიოდში შეადგენს 76 425.1 ათას ლარს.

სამინისტროს ნაერთი ბიუჯეტის საკასო ხარჯები

დასახელება	2011	2012	2013
საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო	74 628.9	83 302.4	76 425.1
საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს აპარატი	14 171.8	11 742.8	10 728.0
საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური დაწესებულებები	56 810.0	68 284.2	62 658.2
საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის და ამ ორგანიზაციებში გაწევრიანების ხარჯები	3 562.0	2984.3	2 670.8
სსიპ-საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების და სხვა დოკუმენტების თარგმნა და დამოწმება	85.0	92.0	106.9
სსიპ -მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლება საერთაშორისო ურთიერთობების დარგში	0.0	199.1	261.2

2011 წლის სამინისტროს აპარატის საკასო ხარჯებმა შეადგინა 14,171.9 ათასი ლარი, 2012 წელს 11,742.8 ათასი ლარი, ხოლო 2013 წელს 10,728.0 ათასი ლარი.

სამინისტროს აპარატის საკასო ხარჯები

დასახელება	2011 წელი	2012 წელი	2013 წელი
საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს აპარატი	14,171.9	11,742.8	10,727.9
ხარჯები	12,694.3	11,229.2	10,376.7
შრომის ანაზღაურება	5,397.4	5,615.3	5,960.9

საქონელი და მომსახურება	5,473.1	5,528.5	4,166.5
გრანტები	1,704.0	2,984.3	108.5
სოციალური უზრუნველყოფა	88.6	60.2	80.3
სხვა ხარჯები	31.2	25.2	60.5
არაფინანსური აქტივები	1,477.3	513.6	343.9
ვალდებულებების კლება	280	0.0	7.2

შრომის ანაზღაურება

სააუდიტო პერიოდში საგარეო საქმეთა სამინისტროს აპარატს „შრომის ანაზღაურების" მუხლით სულ გაწეული აქვს 16973.5 ათასი ლარის ფაქტობრივი და საკასო ხარჯები. მათ შორის:

(ლარებში)

დასახელება	2011 წელი	2012 წელი	2013 წელი
სარგო	3 802 826	3 877 851	3 837 220
პრემია	1 568 439	1 710 543	2 064 073
დანამატი	26 160	26 867	59 603
სულ	5 397 425	5 615 261	5 960 896

პრემიებზე დარიცხული და გაცემულია სულ 5,343.1 ათასი ლარი, რაც საშუალოდ შეადგენს თანამდებობრივი სარგოს 46,4%-ს.

აუდიტს დაქვემდებარებულ პერიოდში სამინისტროს მიერ შედგენილ და საბიუჯეტო განაცხადებით მოთხოვნილ წლიურ საპრემიო ფონდებთან შედარებით გაცემულია ჯამში 2,098.7 ათასი ლარით მეტი პრემია. (მათ შორის: 2011 წელს - 617.0 ათასი ლარი, 2012 წელს - 582.6 ათასი ლარით, ხოლო 2013 წელს - 899.1 ათასი ლარით მეტი).

ხშირ შემთხვევებში პრემიების გაცემის დასაბუთებად მოყვანილია ,,პრემირება დღესასწაულთან დაკავშირებით", რომელსაც იმ პერიოდისათვის მოქმედი მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმა არ ითვალისწინებდა.

სამინისტროს რიგ თანამშრომლებზე, პრემიები გაიცემოდა ყოველთვიურად. ზოგიერთ შემთხვევაში თვიურად გაცემულია თანამდებობრივი სარგოს 200-270%.

აუდიტს დაქვემდებარებულ პერიოდში, სამინისტროს ბრძანებით მინისტრებზე დარიცხული და გაცემული პრემიების ოდენობამ შეადგინა 102.2 ათასი ლარი. მათ შორის: 2011 წელს 47.5 ათასი ლარი, 2012 წელს 50.8 ათასი ლარი და 2013 წელს 3.9 ათასი ლარი. აღსანიშნავია, რომ მინისტრებზე პრემიების გაცემის შესახებ სამინისტროს ბრძანებების საფუძვლად უმეტეს შემთხვევებში მოყვანილია შესაბამისი ფისკალური პერიოდების წლიური საბიუჯეტო კანონის ის მოთხოვნები[2], რომელიც განსაზღვრავს საქართველოს პრემიერ-მინისტრის მიერ საქართველოს მთავრობის წევრთათვის პრემიების მთავრობის

[2] „საქართველოს 2011 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლი.
„საქართველოს 2012 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლი.

ადმინისტრაციის ასიგნებებიდან გაცემის უფლებამოსილებას. შესაბამისად, აღნიშნული საკანონმდებლო ნორმა მოცემულ შემთხვევებში არ წარმოადგენს საპრემიო თანხების გაცემის სამართლებრივ საფუძველს.

სატრანსპორტო ხარჯები

სამინისტროს აპარატის ბალანსზე 2011 წლის 1 იანვრისათვის ირიცხებოდა 46 ავტომობილი, 2012 წლის 1 იანვრისათვის 36 ავტომობილი, 2013 წლის 1 იანვრისათვის 35 ავტომობილი, ხოლო 2014 წლის 1 იანვრისათვის კი 24 ავტომობილი.

2011 წელს ტრანსპორტის მოვლა-შენახვაზე გაწეულმა ფაქტიურმა ხარჯებმა შეადგინა 301.3 ათასი ლარი, მათ შორის საწვავის ხარჯია 228.3 ათასი ლარი, 2012 წელს ფაქტიურმა ხარჯმა შეადგინა სულ 502.1 ათასი ლარი, მათ შორის საწვავის ხარჯია 245.7 ათასი ლარი, ხოლო 2013 წელს ტრანსპორტის ხარჯმა შეადგინა მთლიანად 223.7 ათასი ლარი, მათ შორის საწვავის ხარჯია 159.7 ათასი ლარი. საწვავის ხარჯვა განხორციელებულია აპარატის მიერ კონკრეტული ავტომანქანისათვის დადგენილი საწვავის ლიმიტისა და გარბენილი კილომეტრაჟის მიხედვით.

2011 წელს ავტოპარკის განახლების მიზნით ჩანაცვლების მეთოდით შეძენილი ახალი ავტომობილების ღირებულება ბევრად აღემატებოდა ჩასანაცვლებელი ავტოტრანსპორტის ღირებულებას. კერძოდ, 2011 წელს შეძენილი 9 ერთეული ავტომობილის საერთო ღირებულებამ შეადგინა 582.9 ათასი ლარი, ხოლო ჩასანაცვლებელი ავტომობილების რაოდენობამ კი 18 ერთეული საერთო ღირებულებით 36.1 ათასი ლარი. განსხვავებამ ჩასანაცვლებელ ავტომობილებსა და შეძენილ ავტომობილებს შორის შეადგინა 546.8 ათასი ლარი. აღნიშნულ შემთხვევებში სამინისტრომ ისარგებლა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტით, თუმცა სახელმწიფო შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალურად ხარჯვის უზრუნველყოფის მიზნით, შესყიდვების განხორციელების აღნიშნული ფორმის გამოყენების მართებულობისა და მიზანშეწონილობის შესახებ მტკიცებულებები წარმოდგენილი ვერ იქნა.

2013 წელს აპარატის მიერ შპს „ტოიოტა ცენტრზე“ ანაზღაურებულია სერვისული მომსახურების ღირებულება 0.9 ათასი ლარის ოდენობით, რაც წარმოადგენდა სადაზღვევო კომპანიის ვალდებულებას.

სამივლინებო ხარჯები

სამინისტროს თანამშრომლების საზღვარგარეთ მივლინებისას ზოგიერთ შემთხვევაში შეძენილია და ანაზღაურებულია ბიზნეს კლასის ავიაბილეთების ღირებულება, მაშინ

როდესაც მარშრუტზე მთლიანი ფრენის დრო არ აღემატებოდა 5 საათს, რასაც არ ითვალისწინებს სამივლინებო ხარჯების მარეგულირებელი კანონმდებლობა. [3]

რიგ შემთხვევებში, საზღვარგარეთ მივლინებისას სასტუმრო მომსახურების ფარგლებში სასტუმროში გაწეული ხარჯები წარმოდგენილია ჯამურად და შეუძლებელია იდენტიფიცირება თუ მთლიანი ერთობლიობიდან რა ოდენობის ხარჯებია გაწეული კანონშესაბამისად. მაგალითად:

- 2011 წლის 17-დან 22 მაისამდე შვედეთის დედაქალაქ სტოკჰოლმში მინისტრის მივლინებისას სასტუმრო „Grand Hotel"-ზე ანაზღაურებულია 6.8 ათასი ლარი, მაგრამ არ არის წარმოდგენილი დეტალური ხარჯთაღრიცხვის ამსახველი ინვოისი და ვერ ირკვევა მთლიანი ხარჯებიდან რამდენს შეადგენდა კონკრეტულად ასანაზღაურებელი სასტუმროს ღამისთევის თანხა.
- 2011 წლის 13-დან 16 აპრილის ჩათვლით მინისტრი იმყოფებოდა მივლინებით გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში. წარმოდგენილი სასტუმრო მომსახურების ამსახველი ინვოისი მოიცავს 12-დან 16 აპრილამდე პერიოდს. მოცემულია მთლიანი ხარჯები (სასტუმრო „Regent"-ში) 4.1 ათასი ლარის ექვივალენტის მოცულობით უცხოურ ვალუტაში, რაც სრულად აანაზღაურა სამინისტრომ. ასევე არ არის წარმოდგენილი იმავე სასტუმროში, 2011 წლის 2-დან 4 დეკემბრამდე გაწეული და ანაზღაურებული სასტუმრო მომსახურების (1.7 ათასი ლარი) ამსახველი დეტალური ხარჯთაღრიცხვა.
- ასევე დეტალური ხარჯთაღრიცხვის გარეშეა წარმოდგენილი და ანაზღაურებული 2.2 ათასი ლარი იორდანიის დედაქალაქ ამანის სასტუმრო „Le Meridien"-ში 2011 წლის 7-დან 10 ივლისამდე მინისტრის მიერ გაწეული ხარჯები.

ზოგ შემთხვევაში ანაზღაურებულია ინვოისით განსაზღვრულზე მეტი თანხა. კერძოდ:

- ამერიკის შეერთებულ შტატებში, კერძოდ, ქალაქ ნიუ-იორკში 2011 წლის 26 მარტიდან 2 აპრილის ჩათვლით მივლინებისას მინისტრი სასტუმროს ნომერში იმყოფებოდა 7 დღე-ღამის განმავლობაში. სასტუმროს ინვოისში დაფიქსირებულია ნომრის 1 ღამის ღირებულება 699 USD-ის ოდენობით, ანუ სულ 7 დღის ღირებულება შეადგენდა 4893 დოლარს (8.4 ათასი ლარი), ხოლო სამინისტროს მიერ ანაზღაურებულია 5695.27 დოლარი (9.9 ათასი ლარი). შესაბამისად, 1.5 ათასი ლარის ხარჯვის მიზნობრიობა უცნობია. იმავე მივლინების ფარგლებში ნიუ-იორკში 2 აპრილს ფეხსაცმელების მაღაზია „CitiShoes"-ში საბიუჯეტო სახსრებით შეძენილია გაურკვეველი საქონელი -(*„მელხიორი") 451.83 ამერიკულ დოლარად (0.8 ათას ლარი), როგორც მივლინებასთან დაკავშირებული წარმომადგენლობითი ხარჯი. საქონლის სუვენირად გადაცემის ფაქტი* მოხსენებითი ბარათით, ან სხვა რაიმე დოკუმენტაციით არ დასტურდება.

---

3. „მოსამსახურეთათვის მივლინების ხარჯების ანაზღაურების წესის შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 20 აპრილის N 231 ბრძანებულების მე-12 პუნქტი.

ავიაბილეთების შეძენა

2011 და 2012 წლების საანგარიშო პერიოდებში „სამივლინებო ხარჯებიდან“ სამინისტროსათვის ავიაბილეთების მიწოდებას ახორციელებდა “Carlson Wagonlit Travel” LTD-ს წარმომადგენელი საქართველოში შპს „სი-თი-ესი“. სამინისტრომ ვერ წარმოადგინა ბაზრის კვლევის დამადასტურებელი დოკუმენტაცია და დაუდგენელია, თუ რა კრიტერიუმებით იქნა აღნიშნული კომპანია შერჩეული მომწოდებლად.

ხელშეკრულების თანახმად, ერთი ერთეული ბილეთის მოწოდებისათვის „შემსრულებლის“ (შპს „სი-თი-ესი“) „გასამრჯელოდ“ განისაზღვრა 18 ევროს ექვივალენტი ეროვნულ ვალუტაში ავიაბილეთის სატარიფო ღირებულების გარდა. სულ, „გასამრჯელოს“ სახით 2011- 2012 წლებში ანაზღაურებულია 65.0 ათასი ლარი.

აღსანიშნავია, რომ 2013 წელს ანალოგიური მომსახურების მოწოდებაზე შერჩევის წესით შპს „ცენტრალ თრეველთან“ გაფორმებული ხელშეკრულება „გასამრჯელოს“ სახით ანაზღაურებას არ ითვალისწინებს.

არაეფექტიანი შესყიდვები

დიზელ-გენერატორების შესყიდვისათვის 2012 წლის 31 აგვისტოს გამოცხადებულ ტენდერში (SPA 120022900) შესყიდვის ობიექტის აღწერისას ნაცვლად ზოგადი მონაცემებისა დაკონკრეტებულია ისეთი ტექნიკური პარამეტრები, როგორიცაა სიმძლავრე, ზომა, წონა და ა.შ. რაც შეუსაბამობაში მოდის სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს რეკომენდაციებთან[4]. საბოლოო ჯამში ობიექტის მიერ სატენდერო დოკუმენტაციაში აღწერილი შესყიდვის ობიექტი აკმაყოფილებდა ერთ კონკრეტულ მოდელს. ტენდერში მონაწილეობა მიიღო 4-მა პრეტენდენტმა: შპს „ზელმანი“, შპს „აზიასერვისი“, შპს „ახალი მთვარე“ და შპს „ენსოლი“. აღსანიშნავია, რომ შპს „ენსოლის“ სატენდერო წინადადებაში ასახული მოსაწოდებელი საქონლის ტექნიკური პარამეტრები იდენტურია შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ სატენდერო დოკუმენტაციაში განსაზღვრული პარამეტრებისა. ტენდერის სავარაუდო ღირებულება განისაზღვრა 180.1 ათასი ლარის ოდენობით. ყველაზე დაბალი ფასი დააფიქსირა შპს „ზელმანმა“ (132.0 ათასი ლარი), მაგრამ სატენდერო კომისიის სხდომის N2 ოქმის მიხედვით, პრეტენდენტს ეთხოვა დამატებით წარმოედგინა ინფორმაციები. დოკუმენტაციის დაზუსტების გონივრულ ვადად განესაზღვრა მხოლოდ 1 დღე. შპს „ზელმანმა“ დამატებითი დოკუმენტაცია წარადგინა 20-25 წთ-ის დაგვიანებით, რის გამოც მიეცა დისკვალიფიკაცია. შედეგად, ტენდერი გამოცხადდა ჩაშლილად.

[4] სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავჯდომარის 06.07.2012წ. „რეკომენდაცია შესყიდვის ობიექტის აღწერასთან დაკავშირებით“.

განმეორებით ტენდერზე წინადადება შეიტანა 2-მა პრეტენდენტმა: შპს „ენსოლი“ და შპს „ახალი მთვარე“. აქედან, სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებით შპს „ახალი მთვარეს“ მიეცა დისკვალიფიკაცია, რის საფუძვლადაც სხდომის ოქმში მითითებულია ძრავის სიმძლავრისა და სხვა ძირითადი პარამეტრების შეუსაბამობა ტექნიკურ პარამეტრებთან. გამარჯვებულად გამოცხადდა შპს „ენსოლი“, რომელმაც სატენდერო პროცედურების ყველა ეტაპზე უცვლელად დააფიქსირა საწყისი სატენდერო ფასი (180.1 ათასი ლარი). სხვაობამ შპს „ზელმანისა“ და ტენდერში გამარჯვებულ შპს „ენსოლის“ სატანდერო წინადადებებს შორის შეადგინა 48.5 ათასი ლარი.

სამინისტროსა და შპს ,,ენსოლს“ შორის 2012 წლის 24 სექტემბერს გაფორმებული ხელშეკრულების (N317/1211) საფუძველზე 2012 წლის 29 ოქტომბერს შემსრულებლის მიერ მოწოდებული იქნა 180.1 ათასი ლარის ღირებულების ორი ცალი გენერატორი. დღემდე აღნიშნული გენერატორების დამონტაჟება და თავისი დანიშნულების მიზნით გამოყენება არ განხორციელებულა. შედეგად აღნიშნული აქტივებიდან 2 წლის განმავლობაში ეკონომიკური სარგებელი მიღებული არ არის, ცვეთის სახით კი დარიცხულია 45.0 ათასი ლარი.

არაწარმოებული აქტივები

იუსტიციის სამინისტროს სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს“ მიერ გაცემული საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით (საკადასტრო კოდი N 01.15.05.061.018) საგარეო საქმეთა სამინისტროს ადმინისტრაციული შენობა ნაგებობები განთავსებულია ქ.თბილისში ჩიტაძის ქუჩაზე მდებარე 7742 კვმ არასასოფლო სამეურნეო მიწაზე. შენობაზე დამაგრებული აღნიშნული მიწის ნაკვეთი ბუღალტრულად ბალანსზე არაწარმოებული აქტივების შემადგენლობაში აღრიცხული არ არის.

,,სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის უზუფრუქტის ფორმით გადაცემაზე“ ქ.თბილისის მთავრობის 2003 წლის 10 ივლისის N09.15.200 დადგენილებით ქ.თბილისის მთავრობასა და საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს შორის 2003 წლის 11 სექტემბერს გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს უზუფრუქტის ფორმით უვადო სარგებლობაში გადაეცა ქ. თბილისში წურწუმიას ქ. N 12 -ში (მეტრო ავლაბარის მიმდებარე ტერიტორია) მდებარე 4282 კვ.მ მიწის ნაკვეთი. (უზუფრუქტის ხელშეკრულების მიხედვით მიწის ნაკვეთის ნორმატიული ფასი შეადგენდა 1კვმ 9.60 ლარს). ვიზუალური დათვალიერებით დადგენილ იქნა, რომ აღნიშნულ მიწის ნაკვეთის 864 კვ.მ-ზე დღეის მდგომარეობით განთავსებულია სამინისტროს ავტომანქანების სადგომი მოდული ,,ორსკი“ ნარჩენი საბალანსო ღირებულებით 16.3 ათასი ლარი, 124 კვ.მ-ზე განთავსებულია 1.7 ათას ლარად ღირებული საყოფაცხოვრებო სათავსო, ხოლო დანარჩენი 1489 კვ.მ ფართი დაკავებული აქვს ამორტიზირებულ და ავარიულ მდგომარეობაში მყოფ გამოუყენებელ შენობა-ნაგებობებს. 1805 კვ.მ მიწის ფართობი კი საერთოდ გამოუყენებელია. აღნიშნული

მიწის ნაკვეთი ბუღალტრულად ბალანსზე არაწარმოებული აქტივების შემადგენლობაში აღრიცხული არ არის[5].

უძრავი ქონების განკარგვა

„უკრაინაში საქართველოს რესპუბლიკის საელჩოსათვის და საქართველოში უკრაინის საელჩოსათვის გადაცემული შენობების და მიმდებარე მიწის ნაკვეთების გამოყენებისათვის გადასახადისაგან ურთიერთგანთავისუფლების შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასა და უკრაინის მთავრობას შორის 1995 წლის 9 იანვარს დადებული შეთანხმებისა და საქართველოს მთავრობასა და უკრაინის მინისტრთა კაბინეტს შორის 2000 წლის 4 აგვისტოს გაფორმებული ოქმის შესაბამისად უკრაინის მხარემ საქართველოს მხარეს დიპლომატიური წარმომადგენლობების შენობების აშენების მიზნით 49 წლიანი საიჯარო სარგებლობის პირობით გადასცა მიწის ნაკვეთები შემდეგ მისამართებზე: ქ. კიევი, ტ. შევჩენკოს ბულვარი N25-ში 0.19 ჰექტარი ფართობით და ქ. კიევი, ო. გონჩარის ქუჩა N22-ში 0.1 ჰექტარი ფართობით. მხარეთა შეთანხმებით საიჯარო გადასახადი ორივე მიწის ნაკვეთისათვის მხარეებისათვის დადგენილი იქნა წელიწადში 1 აშშ დოლარის ოდენობით, ხოლო აღნიშნულ მიწის ნაკვეთებზე დიპლომატიური წარმომადგენლობების შენობების მშენებლობის წარმოებისას მხარეები ურთიერთშეთანხმების საფუძველზე ათავისუფლებდნენ ერთმანეთს ყველა სახის სახელმწიფო, რაიონული და მუნიციპალური გადასახადების, მოსაკრებლებისა და ბაჟისაგან.

აღნიშნულ მიწის ნაკვეთებზე საცხოვრებელი კომპლექსის, უკრაინაში საქართველოს საელჩოს ოფისისა და საელჩოს თანამშრომელთა ბინების აშენების მიზნით საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს, „კიევის საქალაქო სახელმწიფო ადმინისტრაციის უცხო სახელმწიფოთა წარმომადგენლობების მომსახურების კომუნალური საწარმოს გენერალურ დირექციასა" და უკრაინის სახელმწიფო საწარმო „მისკბუდინვესტს" (ინვესტორი) შორის 2001 წლის 3 აგვისტოს გაფორმებული იქნა N213/01 საინვესტიციო ხელშეკრულება. ხელშეკრულების მიხედვით „დამკვეთად" განისაზღვრა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, რომელსაც სამინისტროს 2001 წლის 21 ივნისის N4-21/1555 ბრძანებით გაცემული მინდობილობის საფუძველზე წარმოადგენდა უკრაინაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი.

ხელშეკრულების შესაბამისად ობიექტებზე მხარეთა წილი განისაზღვრა შემდეგნაირად:

1. ტ. შევჩენკოს ბულვარ N25-ში მდებარე ობიექტზე - „დამკვეთი "(საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო), იღებს საკუთრებაში 900 კვ.მ. ფართობის არასაცხოვრებელი დანიშნულების (ადმინისტრაციულ) ოთახებს უკრაინაში საქართველოს საელჩოს

[5] დარღვეულია „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ფინანსთა მინისტრის N1321 ბრძანების 9-ე მუხლის მე-10-ე პუნქტის მოთხოვნა: „არაფინანსური აქტივების ოპერაციები აღრიცხვაში აისახება საკუთრების უფლების გადაცემის მომენტში."

განსათავსებლად; „ინვესტორი“ საკუთრებაში იღებს ობიექტის საცხოვრებელი ნაწილის 100%-ს და ყველა არასაცხოვრებელ ოთახებს, გარდა იმისა, რომელსაც იღებს „დამკვეთი“;

2. ო. გონჩარის ქ. N22-ში მდებარე ობიექტზე - „დამკვეთი“ იღებს საკუთრებაში 200 კვ.მ. ფართობის საცხოვრებელ ფართს უკრაინაში საქართველოს ელჩის რეზიდენციის განსათავსებლად და ერთ მიწისქვეშა ავტოსადგომს; „ინვესტორი“ საკუთრებაში იღებს ობიექტის საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ოთახების მთლიან ფართს, გარდა იმ ოთახებისა, რომელსაც იღებს „დამკვეთი“;

კიევის საქალაქო საბჭოს 2004 წლის 24 ივნისის (N339/1549) და 2004 წლის 23 დეკემბრის (N947/2357) გადაწყვეტილებების საფუძველზე კიევის საქალაქო საბჭოსა და უკრაინაში საქართველოს საელჩოს შორის 2005 წლის 28 იანვარს და 2005 წლის 28 მარტს გაფორმებული საიჯარო ხელშეკრულების (BBO N704285 და BCA N338793) შესაბამისად საქართველოს საელჩომ 49 წლის ვადით სარგებლობაში აიღო ზემოთ აღნიშნული მიწის ნაკვეთები. ხელშეკრულებების შესაბამისად მიწის ნაკვეთების გამოყენების მიზნობრივ დანიშნულებად მითითებული იყო საცხოვრებელი კომპლექსების მშენებლობა და აღნიშნულ კომპლექსებში, საქართველოს საელჩოს განსათავსებლად, საოფისე დანიშნულების ჩაშენებულ-მიშენებული ფართებისა და მიწისქვეშა ავტოსადგომის გამოყოფა. ხელშეკრულებებით მოიჯარის (საგარეო საქმეთა სამინისტრო) ვალდებულებას წარმოადგენდა ესარგებლა მიწის ნაკვეთით მხოლოდ მისი მიზნობრივი დანიშნულების მიხედვით. ხოლო მიწის ნაკვეთებზე მშენებლობები კი უნდა დასრულებულიყო სამშენებლო-საპროექტო დოკუმენტაციით დადგენილ ვადებში, მაგრამ არა უგვიანეს სამი წლის განმავლობაში ხელშეკრულების სახელმწიფო რეგისტრაციის შემდგომ.

საინვესტიციო ხელშეკრულებაში 2006 წლის 25 მარტს შეტანილი დამატებითი N3 შეთანხმებით ხელახლა იქნა განსაზღვრული ობიექტებზე მხარეთა წილი. კერძოდ:

- ტ. შევჩენკოს ბულვარ N25-ში მდებარე ობიექტზე - „დამკვეთი“ იღებს საკუთრებაში **1 600 კვ.მ.** ოდენობის ფართს, მათ შორის 250 კვ.მ. საცხოვრებელ ფართს და 1 350 კვ.მ. არასაცხოვრებელი დანიშნულების (ადმინისტრაციულ) ოთახებს უკრაინაში საქართველოს საელჩოს განსათავსებლად; „ინვესტორი“ საკუთრებაში იღებს ობიექტის სრულ საცხოვრებელი ნაწილს და არასაცხოვრებელ შენობებს, გარდა იმისა, რომელსაც იღებს „დამკვეთი“;
- ო. გონჩარის ქ. N22-ში მდებარე ობიექტზე: „დამკვეთი“ იღებს საკუთრებაში **240 კვ.მ.** ფართობის საცხოვრებელ ფართს უკრაინაში საქართველოს ელჩის რეზიდენციის განსათავსებლად; „ინვესტორი“ საკუთრებაში იღებს ობიექტის საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ოთახების მთლიან ფართს, გარდა იმ ოთახებისა, რომელსაც იღებს „დამკვეთი“. აღნიშნულ შეთანხმებაზე ხელის მოწერის უფლებამოსილება საგარეო საქმეთა სამინისტროს 2006 წლის 23 მარტის N110 ბრძანების საფუძველზე მიენიჭა უკრაინაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს.

საქართველოს მხარისათვის საუკეთესო წინადადების მომზადების მიზნით ინვესტორის კომისიური წესით შერჩევის შესახებ მტკიცებულებები წარმოდგენილი ვერ იქნა.

დაუდგენელია თუ რა ნორმატიული დოკუმენტებით, რა გაანგარიშებებსა და გათვლებზე დაყრდნობით მოხდა აღნიშნული წილობრივი გადანაწილება და გათვალისწინებულია თუ არა ფართების წილობრივი გადანაწილების დროს სამთავრობათაშორისო შეთანხმებით ქართული მხარისათვის მინიჭებული შეღავათები[6].

შეთანხმების თანახმად, საგარეო საქმეთა სამინისტროსათვის კუთვნილი შენობების გადაცემა უნდა განხორციელებულიყო სარგებლობისათვის ვარგის მდგომარეობაში (სამშენებლო მზადყოფნაში), უკრაინაში სახელმწიფო სამშენებლო ნორმების მოთხოვნების, საპროექტო დოკუმენტაციისა და სამინისტროსთან შეთანხმებული ოთახების დასრულების უწყისების თანახმად.

აღნიშნული შეთანხმებით მხარეებს განესაზღვრათ ვალდებულება, რომ ობიექტის ექსპლუატაციაში შეყვანიდან 30 დღის განმავლობაში კუთვნილი წილების შესაბამისად შეედგინათ ობიექტის განაწილების ოქმი, როგორც საბოლოო დოკუმენტი, რომელიც დაადასტურებდა მხარეთა უფლებებს ფართების საკუთრებაზე. შეთანხმება ასევე ითვალისწინებდა, ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის პასუხისმგებლობას უკრაინის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და მის მიერ მეორე მხარისათვის მიყენებული ზარალის ანაზღაურებას.

აუდიტის ჯგუფის მოთხოვნის საფუძველზე, სამინისტროს მიერ საელჩოდან გამოთხოვილი N213/01 საინვესტიციო ხელშეკრულებაში 2008 წლის 23 მაისს და 2009 წლის 20 თებერვალს შეტანილი დამატებითი შეთანხმებებით (N4 და N5) დამკვეთისათვის მინიჭებული უფლებები გადაცემულია ინვესტორსათვის. შეიცვალა მშენებარე ობიექტის დანიშნულება და ნაცვლად საცხოვრებელი კომპლექსისა გადაწყდა სასტუმროს მშენებლობა საქართველოს საელჩოს განსათავსებლად განკუთვნილი ფართით. ტ.შევჩენკოს ქ. N25-ში მდებარე მშენებარე ობიექტზე სამშენებლო სამუშაოების დასრულების ვადად განსაზღვრული იქნა 2009 წლის მე-4 კვარტალი, ხოლო გონჩარის ქ. N22-ში მდებარე ობიექტზე კი 2010 წლის მე-4 კვარტალი. მაშინ, როცა კიევის საქალაქო საბჭოსა და უკრაინაში საქართველოს საელჩოს შორის 2005 წლის 28 იანვარს და 2005 წლის 28 მარტს მიწის ნაკვეთებზე გაფორმებული საიჯარო ხელშეკრულებებისა და 2001 წლის 3 აგვისტოს N213/01 საინვესტიციო ხელშეკრულებაში 2006 წლის 25 მარტს შეტანილი დამატებითი N3 შეთანხმებით სამუშაოების დამთავრების ვადად განსაზღვრული იყო შესაბამისად 2008 წლის მე-2 და მე-3 კვარტალი.

აღნიშნულ შეთანხმებებს საგარეო საქმეთ სამინისტროს სახელით, ხელის მოწერის უფლებამოსილების მინიჭების გარეშე ხელს აწერენ იმ დროისათვის უკრაინაში საქართველოს ელჩები.

საცხოვრებელი კომპლექსის ნაცვლად სასტუმრო კომპლექსის აშენებაზე გადაწყვეტილების მიღების, შესაბამისად საპროექტო დოკუმენტაციის გადაკეთებისა და სამინისტროს მხრიდან თანხმობის შესახებ დოკუმენტები წარმოდგენილი ვერ იქნა.

---

[6] განთავისუფლება ყველა სახის სახელმწიფო, რაიონული და მუნიციპალური გადასახადების, მოსაკრებლებისა და ბაჟისაგან.

2011 წლის 25 მაისს მხარეების მიერ ხელმოწერილია „ტ. შევჩენკოს ბულვარ N25-ში მდებარე სასტუმრო კომპლექსისა და შენობა-ნაგებობების განაწილების“ აქტი უკრაინაში საქართველოს საელჩოს განთავსებისათვის. აქტის მიხედვით აღნიშნულ მისამართზე დამთავრდა სასტუმრო კომპლექსისა და უკრაინაში საქართველოს საელჩოს განთავსებისათვის საჭირო შენობის მშენებლობა. ობიექტის შემადგენელ ნაწილებს წარმოადგენდა: სასტუმროს შენობა - 10 077 კვ.მ., საელჩოს შენობა - 1 407.4 კვ.მ. და 20 ავტომობილზე გათვლილი მიწისქვეშა ავტოსადგომი. ამ ფართებიდან აქტის მიხედვით „დამკვეთს“ გადაეცა 1 407.4 კვ.მ. ფართის მქონე საელჩოს შენობა, ობიექტის სარდაფში არსებული 80.5 კვ.მ. ფართი და 297.0 კვ.მ. ფართის მქონე ავტოსადგომი. 2012 წლის 30 იანვარს, კიევის საქალაქო საბჭოს კომუნალური საკუთრების მთავარი სამმართველოს მიერ გაცემულია საკუთრების უფლების შესახებ მოწმობა (CAE N553453), რომლის მიხედვითაც, ქ. კიევში ტ. შევჩენკოს ბულვარ N25-ში არსებული **1 407.4 კვ.მ.** ფართის შენობა კერძო საკუთრების უფლებით ეკუთვნის უკრაინაში საქართველოს საელჩოს. აღიშნული ფართი, როგორც უკრაინაში საქართველოს საელჩოს კერძო საკუთრება, 2012 წლის 15 მარტს ასევე რეგისტრირებულია ტექნიკური ინვენტარიზაციისა და უფლებათა რეგისტრაციის კიევის საქალაქო ბიუროში (რეგ. N36217672, დოკ. CEE N164691). ანალოგიური დოკუმენტებია წარმოდგენილი მიწისქვეშა ავტოსადგომის ფლობაზეც: 2012 წლის 19 მარტს, კიევის საქალაქო საბჭოს კომუნალური საკუთრების მთავარი სამმართველოს მიერ გაცემულია საკუთრების უფლების შესახებ მოწმობა (CAE N553676), რომლის მიხედვითაც, ქ. კიევში ტ. შევჩენკოს ბულვარ N25-ში არსებული შენობის ავტოსადგომზე **377.5 კვ.მ.**-ის ოდენობის ფართი კერძო საკუთრების უფლებით ეკუთვნის უკრაინაში საქართველოს საელჩოს.

„შენობა-ნაგებობების განაწილების“ აქტების მიხედვით „ტ. შევჩენკოს ბულვარ N25-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე ინვესტორის მიერ აშენებული 11 484 კვ.მ სასტუმრო კომპლექსისა და შენობა-ნაგებობებიდან სამინისტროს საკუთრებაში გადმოეცა საელჩოს შენობა - 1 407.4 კვ.მ. (მათ შორის ფარეხი საელჩოს ავტომანქანებისათვის 56.6 კვმ.) და შენობის მიწის ქვეშა ავტოსადგომზე არსებული 377.5 კვ.მ.-ის ოდენობის ფართი, მაშინ როდესაც, საინვესტიციო ხელშეკრულებით ქართულ მხარეს უნდა გადმოსცემოდა საკუთრებაში 250 კვ.მ. საცხოვრებელი ფართი და 1350 კვ.მ. არასაცხოვრებელი დანიშნულების ოთახები უკრაინაში საქართველოს საელჩოს განსათავსებლად. ფაქტიურად 250 კვ.მ საცხოვრებელი ფართის ნაცვლად, საელჩოს გადაეცა შენობის მიწისქვეშა ავტოსადგომზე არსებული 377.5 კვ.მ.-ის ოდენობის ფართი საელჩოს საკუთრებაში არსებული ავტომანქანებისათვის[7] მიუხედავად იმისა, რომ საელჩოს შენობისათვის გადმოცემულ ფართში (1407.4კვმ) ავტოფარეხისათვის უკვე გათვალისწინებული იყო 56.6 კვ.მ. 377.5 კვ.მ.-ის ოდენობის ფართის გადმოცემის აუცილებლობისა და მიზანშეწონილობის შესახებ მტკიცებულებები წარმოდგენილი ვერ იქნა.

2001 წლის 3 აგვისტოს N213/01 საინვესტიციო ხელშეკრულებაზე 2006 წლის 25 მარტს გაფორმებული დამატებითი შეთანხმებებით საგარეო საქმეთა სამინისტროს მის წილად

[7] უკრაინის საელჩოს ბალანსზე ერიცხება სულ 8 ავტომანქანა.

საკუთრებაში გადმოსაცემი ობიექტები უნდა მიეღო სამშენებლო მზადყოფნაში, ექსპლოატაციისათვის ვარგის მდგომარეობაში, უკრაინის სახელმწიფო სამშენებლო ნორმების მოთხოვნების, საპროექტო დოკუმენტაციისა და დამკვეთთან (სამინისტროსთან) შეთანხმებული ნაგებობის კეთილმოწყობის უწყისის შესაბამისად. აუდიტის ჯგუფის მოთხოვნის მიუხედავად, გადმოსაცემი ობიექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია და ნაგებობის კეთილმოწყობის უწყისები წარმოდგენილი ვერ იქნა.

2011 წლის 22 დეკემბერს მხარეების მიერ ხელმოწერილი „ო. გონჩარის ქუჩა N22-ში მდებარე საცხოვრებელი კომპლექსისა და შენობა-ნაგებობების განაწილების“ აქტის მიხედვით ინვესტორს უკრაინის სახელმწიფო საწარმო „მისკბუდინვესტს“ საკუთრებაში გადაეცა აღნიშნულ მისამართზე აშენებული ობიექტი სრული მოცულობით, (ობიექტი შედგება: 2291 კვ.მ. საერთო ფართობის მქონე 14 ბინისაგან, 291 კვ.მ. საერთო ფართობის საოფისე ფართებისაგან და 14 ერთეული ავტომანქანის ტევადობის მიწისქვეშა ავტოსადგომისაგან) ხოლო სამინისტროს აღნიშნულ შენობაში გათვალისწინებული წილის (240კვ.მ საცხოვრებელი ფართი) სანაცვლოდ ინვესტორისაგან უნდა მიეღო ქ. კიევში ბორშაგოვსკაიას ქ. N174ა-ში მდებარე მშენებარე კორპუსში არსებული ორი ბინა, საერთო საპროექტო ფართით 178.90 კვ.მ. 2012 წელს (თვე და რიცხვი მითითებული არ არის) „მისკბუდინვესტ“-სა და საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს სახელით უკრაინაში საქართველოს საელჩოს შორის გაფორმებული აქტის მიხედვით „მისკბუდინვესტ“-მა გადასცა ,ხოლო საგარეო საქმეთა სამინისტრომ ჩაიბარა ბორშაგოვსკაიას ქ. N174ა-ში მდებარე კორპუსში არსებული ორი ბინა, საერთო ფართით 178.90 კვ.მ. თუმცა, რეალურად აღნიშნული ბინების სამინისტროსათვის გადმოცემისა და მათზე საკუთრების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტები წარმოდგენილი ვერ იქნა.

უკრაინის არქიტექტურულ-სამშენებლო სახელმწიფო ინსპექციის მიერ გაცემული სერთიფიკატის შესაბამისად, ბორშაგოვსკაიას ქ. N174-ა-ში მდებარე ობიექტზე მშენებლობის დამკვეთს წარმოადგენდა შპს ,,მაგისტრი“, ხოლო სახელმწიფო საწარმო „მისკბუდინვესტი“ იყო აღნიშნული ობიექტის გენერალური დამპროექტებელი და ქვეკონტრაქტორი. „ო. გონჩარის ქ. N22-ში მდებარე საცხოვრებელი კომპლექსიდან სამინისტროსათვის კუთვნილი წილის (240 კვ.მ) დათმობის, ინვესტორის მხრიდან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში სამინისტროსათვის ეკონომიურად არახელსაყრელ გარიგებაზე ხელის მოწერის (62 კვმ-ით ნაკლები ფართისა და დაბალი ღირებულების) მიზანშეწონილობის, კანონიერებისა და აღნიშნულ საკითხებზე საგარეო სამინისტროსთან შეთანხმების შესახებ დოკუმენტები წარმოდგენილი ვერ იქნა.

საგარეო საქმეთა სამინისტროს სახელით საელჩომ მიწის მიზნობრივი დანიშნულების მიუხედავად, ინვესტორს უკრაინის სახელმწიფო საწარმო „მისკბუდინვესტს“ საკუთრებაში გადასცა აღნიშნულ მიწაზე აშენებული ობიექტი სრულად, ისე რომ ქართულ მხარეს 49 წლიანი იჯარით აღებულ მიწაზე საკუთრება და სარგებელი არა აქვს.

აუდიტის პერიოდში სამინისტროდან წარმოდგენილი დოკუმენტებით დგინდება, რომ 2014 წლის 22 სექტემბერს სამინისტროსა და ინვესტორს - შპს ,,სამშენებლო კომპანია გორსტროინვესტს“ (სახელმწიფო საწარმო „მისკბუდინვესტის“ შვილობილი საწარმო)

შორის გაფორმებული შეთანხმებითა და 2014 წლის 21 ნოემბერს შედგენილი აქტის შესაბამისად შპს ,,სამშენებლო კომპანია გორსტროინვესტ"-მა გადასცა, ხოლო სამინისტრომ ჩაიბარა კიევში ბორშაგოვსკაიას ქუჩა N174-ა-ში მდებარე კორპუსის მე-5 სართულზე არსებული 3 ოთახიანი ბინა საერთო ფართით 101.9 კვ.მ. აღნიშნულ ბინაზე საკუთრების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტები წარმოდგენილი ვერ იქნა.

ტ.შევჩენკოს ბულვარ N25-ში სასტუმრო კომპლექსისა და უკრაინაში საქართველოს საელჩოს განთავსებისათვის საჭირო შენობის მშენებლობა „სასტუმრო კომპლექსისა და შენობა-ნაგებობების განაწილების აქტის" შესაბამისად დამთავრებულია 2011 წლის 25 მაისს - 1 წლისა და 5 თვის დაგვიანებით. „ო. გონჩარის ქ. N22-ში მდებარე საცხოვრებელი კომპლექსისა და შენობა-ნაგებობების განაწილების" აქტის მიხედვით კი, გონჩარის ქ. N 22-ში მშენებლობა დამთავრებული იქნა 2011 წლის 22 დეკემბერს - ერთი წლის დაგვიანებით. დაგვიანების ფაქტებთან დაკავშირებით სამინისტროს მხრიდან რაიმე სახის რეაგირება არ განხორციელებულა.

2001 წლის 3 აგვისტოს N213/01 საინვესტიციო ხელშეკრულებაზე 2006 წლის 25 მარტს შედგენილი დამატებითი შეთანხმებით განსაზღვრული ო. გონჩარის ქუჩა N 22-ში მდებარე ელჩის რეზიდენციისათის განსაზღვრული 240 კვ.მ-ისა და ტ.შევჩენკოს ბულვარ N25-ში მდებარე 250 კვ.მ საერთო საცხოვრებელი ფართების გადმოუცემლობის შედეგად სამინისტროს მიერ უკრაინაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის მიერ დაკავებულ საცხოვრებელ ფართზე 2011 წლის 1 იანვრიდან 2014 წლის 1 ოქტომბრამდე პერიოდში საიჯარო ქირის სახით გადახდილია 114.0 ათასი აშშ დოლარი, ხოლო საელჩოს სამ თანამშრომელზე (კონსული, ვიცე კონსული და დესპანი) საცხოვრებელი ბინების ქირების სახით 2010 წლის 1 იანვრიდან 2014 წლის 1 ოქტომბრამდე პერიოდში გადახდილია 215.0 ათასი აშშ დოლარი. სულ გადახდილია 329.0 ათასი აშშ დოლარი.

ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობის შედეგად მიყენებული ზარალის ანაზღაურების შესახებ სამინისტროს მხრიდან რაიმე სახის ღონისძიებები არ გატარებულა, მაშინ როდესაც 2001 წლის 3 აგვისტოს N213/01 საინვესტიციო ხელშეკრულებაზე 2006 წლის 25 მარტს შედგენილი დამატებითი შეთანხმებით ინვესტორი ვალდებული იყო აენაზღაურებინა ხელშეკრულების პირობების დარღვევით მიყენებული ზარალი.

პირობითი მოსაზრება კანონმდებლობასთან და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობის შესახებ

ჩვენი აზრით, პირობითი მოსაზრების საფუძვლებში აღწერილი საკითხების გარდა, სამინისტროს აპარატის საქმიანობა და ფინანსური ოპერაციები ყველა არსებითი ასპექტის

გათვალისწინებით, შესაბამისობაშია მოქმედი კანონმდებლობის და სხვა მარეგულირებელი ნორმების მოთხოვნებთან.

წამყვანი აუდიტორი		მურმან დარახველიძე	27.01.2015 წ.
უფროსი აუდიტორი		ნინო ამირანაშვილი	27.01.2015
აუდიტორი		გიორგი მშვილდაძე	27.01.2015 წ.
აუდიტორი		შალვა ჯავახიშვილი	27.01.2015 წ.
აუდიტორი		ნანა ვაჩაძე	27.01.2015 წ.
აუდიტორ-ასისტენტი		გიორგი ჭოლოკავა	27.01.2015 წ.